საქართველოს კანონი

„სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 2000 წელი, მუხ. 137) მე-3 მუხლის:

ა) 3^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^4 პუნქტი:

„3^4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსამსახურისთვის წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება – მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის 1^1, მე-3, 3^2 და 3^4 პუნქტებით გათვალისწინებულ სპეციალურ წოდებებს წინ ემატება სიტყვა „იუსტიციის“.“.

მუხლი 2

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმ მოსამსახურეებს, რომელთაც 2020 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე აღნიშნულ სააგენტოში დასაქმების პერიოდში არ ჰქონდათ სახელმწიფო სპეციალური წოდების მიღების უფლება და ეს უფლება ამ კანონით ენიჭებათ, შესაბამისი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ არ ჰქონდათ სახელმწიფო სპეციალური წოდების მიღების უფლება, ჩაეთვალოთ „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურობად.

2. 2026 წლის 1 აპრილამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი მოსამსახურეებისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

17 დეკემბერი 2025 წ.